№ 144 19 მკათათვე, ოთხშაბათი 1866—1878 19 მკათათვე, ოთხშაბათი № 144

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

მიიღება ნახევარი წლის ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზე“

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (პირველ ივლისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ამირალოვის სახლებში, № 8). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ბოსდი, 17 Ივლისს.** დღეს ყოვლის დაუბრკოლებლივ და სრულის წესიერებით ავსტრიის ჯარი გადავიდა ბოსნიის სამზღვარზედ.

## საქართველო

### ბერლინის ტრაქტატი

გათავდა ომი; არათუ ომი, ომის შიში, მოლოდინიც. ყველა სახელმწიფოების წარმომადგენელთა, რომელნიც დაესწრნენ ბერლინის კონგრესზე, მოაწერეს ხელი ამ კონგრესსისაგან დადგენილს ტრაქტატზე ანუ მორიგების პირობაზე.

ახლა მხოლოთ ამ წარმომადგენელთა მმართებლობისაგან მოელიან ტრაქტატის დამტკიცებას (რატიფიკაციას). უეჭველია, ამასაც მალე მოევსწრობით.

შესანიშნავია, რომ, თუმცა ყველა დათანხმდა, ყველა მოაწერს ხელს, მაგრამ არც ერთი სახელმწიფო, გარდა Ინგლისისა და ავსტრიისა, არ არის კმაყოფილი ამ ტრაქტატისა; სრულად და საბოლოოთ კონგრესს არც ერთი საგანი არ გადაუწყვეტია; ყველა კითხვები ისეთ ნაირად არის გათავებული, რომ დღეს-ხვალ, უეჭველია, ახალ აყალ-მაყალს, ახალ არეულობას და ვინ იცის— იქნება ხელ-ახალ ომსაც უნდა მოველოდეთ.

მხოლოთ Ინგლისი და ავსტრია არიან, როგორც ზევით მოგახსენეთ, კმაყოფილნი, რადგან ერთმა, ერთი წვეთი სისხლის დაუღვრელად, დაისაკუთრა ვრცელი და მდიდარი კუნძული კიპრი და ამის საშუალებით თითქმის მთელი მცირე აზიისა და ეგვიპტეს ბატონად გახდა, და მეორემ, აგრეთვე სისხლის დაუღვრელად და მუქთად, ჩაიგდო ხელში ორი პროვინცია Ოსმალეთისა: ბოსნია და ჰერცოგოვინა.

რუსეთს, სერბიას, ჩერნოგორიას, რუმინიას იმის ნახევარიც არ მისცეს, რასაც თხოულობდნენ და რისაც იმედი ჰქონდათ.

Ოსმალეთი უეჭველია, ახლა უფრო დაკმაყოფილებულია, ვინემ სან-სტეფანოს მორიგების დროს იყო, რადგან კონგრესმა დაუბრუნა იმას ბევრი რამ, რაც რუსეთს მიჰქონდა. სტამბოლის გაზეთი „ვაკიტი“ ამბობს:

„მადლობა ღმერთს, როგორც იქნა გადავრჩით უცხო ქვეყნებისაგან ჩვენს შინაურს საქმეებში გარევას. დღეის შემდეგ Ინგლისსა და ჩვენ (Ოსმალეთს) ერთი და იგივე ინტერესები გვაქვს; ამ ქვეყნის მფარველობის ქვეშ, ჩვენ შევეძლება გავაუმჯობესოთ ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა, ჩვენი მეურნეობა და ვაჭრობა; შეგვეძლება ვისარგებლოთ იმ უანგარიშო სიმდიდრითა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა შეიცავს. ახლა Ოსმალეთისათვის ბედნიერი დრო იწყება. . .“

თუმცა ამას იწერება Ოსმალეთის მმართებლობის მომხრე (ოფიციალური) გაზეთი, მაგრამ ამ გაზეთს Ოსმალეთში დიდი გავლენა აქვს, და ეს გარემოება გვარწმუნებს, რომ საზოგადოთ Ოსმალეთის ხალხი ბერლინის ტრაქტატით კმაყოფილი უნდა იყოს.

## ფელეტონი

### ახალციხური ფელეტონი

(ერთის დღის მოგზაურობა)

დილა ადრიან სამშაბათ დღეს, 8 საათზედ, გავემგზავრე ცხენით ახალციხიდგან Ოცხისაკენ.

ამწვანებული მინდორ-ველი გახუნებულ ხარის ფრად დამიხვდა, ჭოჭნარის და წყლის პირი სადგილების გარდა, რომელნიც ჩვეულებითად მწვანობდნენ.

კარგა ხანია ცელი შევიდა ჭალებში; სათივე სუდა, ალავერდი გათიბეს და ახლა პურ-ქერის თიბვას ადგიან, ურწყავები გაიჭრა, კარგ მოსავალს მოელიან; მაგრამ სარწყავებმა კი როგორღაც უსუსტეს; სჩანს ხშირმა წვიმებმა და რწყვამ მიწა დასცეს და თესლი მოიშთო.

ზანდოზედ რომ ავედით, იქავ მდებარე მარიამ-წმიდის მიდამო მთა ადგილები ზღვის ფერად მოჩანდა. წახნის, ხარჯამის, ვარხნის და აბასთუმნის ბოსტანბაღები მწვანე-მუქად ელვარებდნენ ჩალის ფრად გარდატეტკილს მინდორგორებთ შუა, თითქოს ამ ნაირი შეხამებული, ნაირ-ნაირ ფერთ შერეულება უფრო ამშვენებდეს დედამიწის პირსა და აცხოვებდეს სასიამოვნოდ კაცის თვალყურ-გონებასა, ვირემც ერთიან ამწვანებული მთა და ბარი!

ვის არ ასიამოვნებს სამკალის პირზედ მოსული ოქროს ფრის ჭირნახულის ბზინვა? მკლავ მაგარი ვაჟ-კაცების ცხარე მუშაობით ცელის ხმა? მსხვილმაჯის ქეშვა, ლაწი-ლუწი, ტკბილი ქშენა და ღიმილით ერთმანერთის ზახილი? ბამექე, ვაჟო, თვარემ თუ მოგეწიე, ქლიკებს კაჩებზედ მიგაჭრი და ჩემი ბრალი აღარ იყოს!“ მართლა ზოგიერთ ვაჟკაცთ იმისთანა მალალი ცელი გამოაქვთ, რომ კარგი ფეხ მსუბუქი ყმაწვილი კაცი ზედ ვერც კი გადახტება! ჰხედავთ ნათიბ ყანებში სიგძე-სიგანეზედ გაწოლილან ვეშაპებისავით ცელები, ზეითგან კრიალ ცაზედ ტოროლა დასჭიკჭიკებს და ქვე ჭირნახულში წყერს გააქვს ჭუკჭუნი. მოშიები ახალ დაფრენილს თავიანთ ბღარტებს ნადირობაზედ აჩვევენ და მერცხალ-მანგლები წივილ-კივილით გარემოს დაჰქრიალებენ; კაჭკაჭები ფიჩხებში დაძვრებიან, დაბობვენ და რიყის ჩიტები იბრძვიან: წივწივა, წრიალა, კირკიტა და გნოლები ერთი მეორეს არ აცლიან! ამათ ყველას ქორ-ძერები დასტრიალებენ, იჭერენ, ბრტყვნიან, პუწკვენ, სჭამენ; ასრე თვითო-ოროლობით რას დააკლებენ ამდენ ურიცხვ სიმრავლესა? ამისთანა სამნახველობით შემკულია Ოცხის წყლის პირის შეყოლება!

მივედით, მივაწიეთ ლეკის-ფაშის ბალჩას და კიდევაც შევედით Ოცხის ხეობაში. უკან დაგვრჩა აბასთუმნის გაღმით თამაზკერის-ციხე, ჩვენს პირდაპირ ნაციხარა და წინამდებარე ხევს მიღმა-მოღმა მუქი, ხშირის მწვანე ფოთლით შემოსი-

ყველაზე უფრო მომეტებული უკმაყოფილება საფრანგეთისა და საბერძნეთის მხრითაა. საფრანგეთი წყრება, რომ ინგლისმა ჩაიგდო ხელში კიპრი და იმას კი არა ერგო-რა. საბერძნეთი ჯავრობს, რად დაუჯერე ინგლისის რჩევას, რად არ გამოუცხადე ოსმალეთს ომიო, მაშინ მეც მერგებოდა რამე, ეპირსა, თესსალიას და იქნება მაკედონიასაც შევიძენდიო და სხვ.

ამ ნაირად, მომეტებული ნაწილი ევროპის დიდი და წვრილი სახელმწიფოებისა უკმაყოფილოდ დარჩნენ ბერლინის კონგრესის გარდაწყვეტილებით.

და ამ გარემოებიდამ ჩვენ თამამად შეგვიძლიან გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ ყველა ეს უკმაყოფილო სახემლწიფოები, რომელნიც დღეს ომს ერიდებიან, როცა ცოტას მოისვენებენ‘ საომრად მოემზადებიან, და ადრე თუ გვიან მონახვენ მიზეზს და განიძრახვენ იმ მიზნის მიღწევას, რომელიც ახლა ვერ შეისრულეს, მოინდომებენ კიდევ ევროპის კარტის გარდაკეთებას.

უეჭველია, რომ ეს მომავალი შეტაკება და ბრძოლა საშინელი შეტაკება იქნება, რადგან, ოსმალეთსა და ინგლისს შუა შეკრულის პირობის ძალით, ინგლისი უეჭველად ვალდებული იქნება, რომ ამ შეტაკებაში მონაწილეობა მიიღოს და დაეხმაროს თავის მფარველობის ქვეშ მყოფს ოსმალეთსა. და თუ ინგლისი გაერევა ბრძოლაში, მაშინ რაღა თქმა უნდა, რომ ევროპის დანარჩენი უმთავრესი და უმცირესი სახელმწიფოები, თითქმის ყველა, ძალა-უნებურად გაერევიან ბრძოლაში.

აი მაშინ, მხოლოთ მაშინ, ამ საერთო, საზოგადო თავ-პირის მტვრევისა შემდეგ, უნდა მოველოდეთ ჩვენ, რომ, ავად იქნება თუ კარგათ, გარდაწყდება ეს დაუბოლოებელი „აღმოსავლეთის კითხვა.“

ს. მ.

---

## დღიური

*** ეს თითქმის ნახევარი წელიწადია, მთელი ქვეყანა ქალაქის გასუფთავებაზედ და გაჯანმთელებაზედ ლაპარაკობს; სხვა-და-სხვა სანიტარული და ასსენიზაციური კომისიები და კომიტეტები არის დანიშნული; მთავრობამ მარტო ქალაქის გასასუფთავებლად 75,000 მანეთი გადასდო, ქალაქმაც თავის მხრით 32,000 მანეთი მისცა და სხ.

მაგრამ ვინც გუშინ ჩვენს ქუჩებში გაიარა დარწმუნდებოდა, რომ ქალაქს გასუფთავებისა და გაჯანმთელების არა ატყვია-რა. ცოტა ქარი ატყდა და ამისაგან საუკეთესო უბანში —სოლოლაკში—ისეთი საშინელი მტვერის ბურუსი დადგა, რომ ერთ საჟენზე ვერ დაინახავდი კაცს და თვალები მტვრით გევსებოდა.

თუ სოლოლაკის ქუჩებში ამისთანა სიბინძურეა, სხვა უფრო მიყრუებულ უბნებში რაღა უნდა მოვითხოვოთ.

ჩვენი ქალაქის რჩევისა და ზამგეობის არსებობაც კი არ ისმის ამისთანა დროს. იმათ რა უშავთ? მომეტებული ნაწილი ჩვენი რჩევის წევრების შეძლებული, ფულიანი ხალხია; ისინი სხვა და-სხვა ქვეყნებში და აგარებში არიან საზაფხულოთ წასულნი და იმათ რა ენაღვლებათ, თუ ძალა-უნებურად ქალაქში დარჩენილს ხალხს ამ ზაფხულ'ში სიმყრალითა და მტვრისგან სული ხდება!...

*** ქალაქის ზამგეობისაგან ახლად გამოცხადებულის ტაქსიდამ ეტყობილობთ, რომ პური და ხორცი გაიაფებულა: ადგილობრივის და მოტანილს ფქვილის პური ფურნეში გამომცხვარი გირვანქა 4 კაპეიკად უნდა გაისყიდოს ამ თვის დამლევამდინ, მეორე ხარისხისა პური გირვანქა $3^1/_2$ კაპეიკად; ძროხის ხორცი უძვლო 9 კაპ., ძვლიანი 7 კაპ., სუკი— 15 კაპ., ცხვრისხორცი 9 კაპ., ადგილობრივი ყველი—გირვანქა სამ შაურად.

*** თფილისის კომმერციულ ბანკში ისყიდება ქუთაისის თავად-აზნაურთა სადვილ-მამულო ბანკის გირაოს ფურცლები.

*** უვირილიდამ გვატყობინებენ, რომ ამ თვის 13-ს ამ დაბაში უნდა მოსულიყვნენ: უფ. ქუთაისის ღუბერნატორი მალაფეევი და პროკურორი ანდეევი, რომელნიც მიდიან საჩხერეში ურიებისაგან ერთის ახალგაზდა ბავშვის ვითომწვალებისა და მოკვლის გამოსაძიებლადო.

*** ქუთაისიდამ გვწერენ, რომ გასულს კვირას ამ ქალაქის მახლობელს სოფელს ზარათში კვირიკობის დღესასწაულობის დროს აზნაურებსა და გლეხებს შუა რაღაცას თაობაზედ ჩხუბი ამტყდარა და, როგორც კორესპონდენტი გვაცნობებს, ამ ჩხუბის დროს ხმლები და ხანჯლები ყოფილა ხმარებაში და რამდენიმე კაციც დაჭრილა.

*** ქუთაისიდამ გვატყობინებენ, რომ ამ თვის 13-ს იქაც მომხდარა ჩხუბი ორ თავადისშვილს—ს. მ—ძეს და ა. ჩ—ძეს შუა, ერთს მინდორზე, სადაც ესენი

---

ლი ტყე; ხევს შუა მომდინარე წყლის ნაირ-ნაირი ჩხრიალი, ბუტბუტი, ღრიალი, რაკრაკი, ზარი და ბანი კაცს გააოცებს; ახლა კალმახთ ფართხალი, ხოჩხოჩად ასვლა-ჩასვლა, გაქან-გამოქანება ჩრდილისავით გულითგან ჭირს გარდაუყრის! თითქოს მგზავრთ მისვლა-მოსვლა, ავლა-ჩავლაზედ გულ-ახდით მოხარულნი ფერხულ ცეკვას ეძალებიანო!..

გზაში ერთს ადგილას კუბოებიანი სასაფლაოები გამოჩენილ იყო; იმათში მიცვალებულის ერთს კლავზედ ოქროს სალტა სცმოდა სამაჯურად და ვინ იცის —რამდენი ნივთები შეაძრეს ბერძნებმა. უწინ სცოდნიათ საფლავთ მჭკურვალება დიდ ცოდვად; ახლა ვინ რად სთვლის?

სწორე მოგახსენოთ: აქამდის მოყოლილი გულ-მხიარულება სიმწუხრეზედ შემეცვალა. პატარა ხანს დავსდეგ ცხენით და თვალ-გაშტერებული დავაჩერდი იმ ნასაფლავებსა. რა და რამ არ გაიარა ჩემს გაწვრილებულს გულში! ვამბობდი: ვინ იცის, როგორი გამოჩენილი ღვთის მსახურნი და მამულისთვის თავ-დადებულნი პირნი იყვნენ. ადრე ჩვენი ქვეყანა ამათი იყო და დღეს თავიანთ საფლავშიც კი არავინ აყენებს; უპატიურად ერთის ადგილიდგან მეორე ადგილში ჰყრიან და მუსვრენ იმათ ძვლებსა.

მე მინახია კონსტანტინე-პოლში: კანონია, აკურთხებენ მღვდლით ძვლებსა ახალს სამარესა და ეგრედ პატივის ცემით მიაბარებენ მიწასა. აქ, ჩვენში, ამისთანა წესიერება დახურულივით სჩანს დღეს-დღეობით და სახვალიოდ ვინ იცის. . .

ამასობაში დამეხვა გულზედ კაეშნის ნისლი და როგორღაც დიდი სიმძიმე ვიგრძენ! ღმერთიმც უშველის ჩემს თანამოგზაურს ამხანაკსა: თითქოს გულმა შეუტყო ჩემი უსიამოვნების გარემოება და დამაშურა წინ წავიდეთო. ძალა-უნებურად გამოვუსვლე ცხენი. მოვადექით ძველს ქვითკირის ხიდსა; წინ აგვემართა აქეთკენ საბაჟო, ქვაბები და გაღმა კურცხანის ხევი. ხევის შესავალ-ტყიან გორაზედ სამხრით თამარის ეკკლესია რვა სამარტვილე ეკვდრებით და წამონასტრევით, სადაც უცხოვრიათ მონაზონობაში მ. იოვანე შავთელსა და წინადმხილველს ევლოგის, და ჩრდილოდ ოცხის ციხე მდებარე ოცხისა და კურცხანის ხევთ შუა. ცოტა რამ წინ რომ წავვლე, მიჩვენა ჩემმა ამხანაგმა:

— აგერ, მაღლა კლდის თავში, როგორც ლეგენდა გვეუბნევა, თამარ-დედოფლის აკვანი და გაღმა ციხის ზემოდ ნასარკევის ქვითკირი! დაჰკვირდით როგორ სარკესავით გადალმართულია! იქითგან აქ აკვანთან ჯაჭვი ჰქონია გაბმული ხიდად, მასზედ გადი-გამოდიოდა, როცა უნდოდა სარკეში თავს იხურავდა გასული და ისევ უკან ბრუნდებოდა თავის აკვანთანაო!

მე ვკითხე:

— აკვანი და სარკე კარგი, მაგრამ ტახტი და საწოლი სად ჰქონია?

ეს ველარ ამიხსნა. . . .

ახლად გამოყვანილი მილიციონერების საყურებლად იყვნენ თურმე. ამბობენ, თ. ა. ჩ—ძე, რომელსაც რაღაც უკმაყოფილობა ჰქონდა თ. მ—ძეზედ, ეცა თურმე იმას თმაში და ძირს დაცემას უპირებდა; მაგრამ ამ დროს მ—ძემ ძრო ხანჯალი და თეძოში დაარტყაო. ამ დროს მოეშველნენ სხვა მაყურებლები და გააზავეს. ამბობენ, თ. ჩ—ძე ისე მძიმეთ არ არის დაჭრილიო, რომ მორჩენა გაუჭირდესო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ხაშური, 13 ივლისს.** დღეს ჩამოიყვანეს აქ ახალციხიდამ ტფილისში გასაგზავნათ ახალქალაქის და ახალციხის ახლოთ სახელმწიფო სამხედრო სამსახურში გამოწვეული ოთხმოც-და-შვიდი კაცი. ეს მილიციონერები უკვე გაისტუმრეს აქედამ.

ეს ახლად ჩამოყვანილი მილიციონერები თავის სხვა-და-სხვა ნაირი ტანისამოსით და ქცევით იმნაირს სურათს წარმოადგენდენ, რომ გარეშე კაცს მათი ერთი შეხედულება თან აატირებდა და თან უნებლიეთ გააცინებდა. თითქმის ყოველიევე მათი ქცევა სასაცილო იყო: როდესაც უნტერ-აფიცერი ჩამოამწკრივებდა და მათ სიას წაუკითხავდა, წაკითხული სახელის პატრონი, იმის ნიშნათ, რომ ის იქ იყო, უნტერ-აფიცრების დასანახავათ ერთ მაღლა დაიყვირებ „მაია ზდესო“ და ორ მტკაველზე შეხტებოდა მაღლა.

ზევრსაც კი მამაკუდავი ფერი ედოთ სახეზე. ვინ იცის, საწყლებს ვინ დარჩენიათ სახლში: საყვარელი მოხუცი დედმამა უიმედოთო დატოვილნი და გულის და სულის ამაღელვებელი და შავ ნისლებისაკენ გამტაცებლები.

სახლიდამ გამოყოლილი იმედების და უფრო ფულების წყალობით ჯერ იმდენათ არავინ გრძნობდა იმას—თუ რა მოვალეობა აწევათ კისერზე და სად მიდიოდნენ. თითქმის ყველა იღრიჯებოდა, თავიანთი გუნებით ვითომ ერთ ქეიფში იყვნენ. იმათზე თავჰდგომარე უნტერ-აფიცერს და სალდათებს ტიკინასავით ათამაშებდნენ და მასხარათ იგდებდნენ; უფრო იმისაგან იყო ეს, რომ იმათ თავიანთ დღეში ამნაირი მბრძანებლები და ბატონები არ ენახათ და თავიანთ თავებისაც უკვირდათ და ერთმანერთსაც კი მასხარათ იგდებდნენ. მაგრამ მალე მოგიკვდათ მტერი, მალე იცნობენ თავიანთ დიდსაც და პატარასაც.

ნათქვამია „ერთა ჭირიო, ჩვენთა ლხინიო“. რა გაეწყობა, მოვალეობა და სამსახური ყველას გვმართებს; ამისათვის არც წამსვლელებმა და არც წამსვლელების პატრონებმა გული არ უნდა მიეცეთ მძიმე ფიქრებს; ყველაფერ მალე დავეწევით.

ერთ სიღარიბეში ჩავარდნილი კაცის შვილს მამისათვის უკითხავს:

—მამა, როდემდის უნდა დავრჩეთ ასე საწყლათ?!

—ორმოც დღემდი! უთხრა მამამ.

—მერეო?

—მერე, შვილო, შევეჩვევით!...

ჩვენც ყველამ თითო რაიმე ავიღოთ მიზნათ და ამით გაგვიადვილდება სამსახური; აი მაგალითად: საქართველოს შვილებმა ქართველებმა ვიფიქროთ, რომ ჩვენი სამშობლოს სიყვარულისათვის ვიმსახუროთ-თქო...

მაგრამ ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ, თუ ყველა ადგალებიდან ამნაირი დარდიმანდი მილიციონერები გამოიყვანეს, იმათი წამოსვლა თავიანთ პატრონებზე და ქალაქებზე უფრო ადგილობრივ მიკირტანებს დააკლდებოდათ.

სხვაფრივ ჩვენში ამჟამად გრილი ჰაერია და, ბორჯომისა და აბასტუმნის წყალობით გაცხოველებული ხალხის მოძრაობა არის. მშვიდობიანობასაც იმდენს ვერ დავემდურებით,—მშვიდობიანობა არის!

ამდენ ხალხს, ცხვარივით ხალხს, ერთი მოწიფული მამასახლისი და გზირი გვყავს მწყემსათ. ჰო! უკაცრავათ, დამავიწყდა:

ამ დღეს აქ ერთი პატარა „ხუმრობა“ მოხდა; ერთმა ყიზილბაშმა სამი კაცი ხანჯლით დასჭრა და სამივე გაისტუმრა საიქიოს ამბის მოსატანათ, თუ ამდენი კაცი რომ ქრისტიანობის წვალებისგან დახსნის მიზანით მოკვდა, იმათ იქ რა ადგილი მისცეს, ან რას აკეთებენ, იქაც ხომ არ ჩხუბობენო...

ლას-ლას-მან

# ომის შემდეგ

## ოსმალეთი

გაზეთს „Indép. Belge“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 9 ივლისს მიღებული სტამბოლიდამ:

„ოსმალების ჯარები გადიან შუმლიდამ და ვარნიდამ. 20 ივლისს (1 აგვისტოს) ეს ქალაქები სრულებით დაცლილი იქნება.“

ამავე საგნის შესახებ დღევანდელი „მოსკოვის უწყებები“ გვაცნობებენ, რომ რუსის ჯარებმა 11 ივლისს უკვე დაიჭირეს ქალაქი ვარნაო.

—გაზ. „პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ იწერებიან სტამბოლიდამ, რომ კიპრი მხოლოთ იმ პირობით დაუთმო ინგლისს სულთანმა აბდულ-ჰამიდმა, რომ ინგლისმა დაიცვას ის ძმებისაგან—მურადისა და რეშადისაგან, რომელთაც განზრახვა აქვთ ოსმალეთის ტახტი

ამ ლაპარაკ-შექცევაში უეცრად წავადეგით ოცხის წყლითგან ოთხი თუ ხუთიოდე საჟენის სიშორეზედ მდებარე აკლდამასა, რომელიც გავლილად თქვენს „დროებაში“ იყო გაკვრით ნაჩვენები. რასაც შოსეს სიგანე გაიტანს, იმდენი მიწა გაეპოთ სიგძეზედ; ოთხიოდე საჟენამდის წმინდა დათლილი ქვა-ფენილი ყოფილა მოკირწყლული. საკვირველად თეთრი ქვაა, ამ ქვის ქარხანა ძველ ეკკლესიებზედაც, რაც მოიძევება ამ ჟამად ჩვენ მხარის ტყე-ღრე შენობებში, ჯერ არსად არ ნახულა! თითო ქვა უკანასკნელი თითო თუმანზედ მეტათ ღირს. ეს ადგილი ყოფილა კეშხლებით და ხერხემლებით სავსე; შესანიშნავია შუაზედ მდებარე სამოწამე კეშხლზედ და ხერხემალზედ თლილის ქვით გამოწყობილი ბუდე. თუმცა სხვათა შორის ეს ბუდეც აუფეთქიათ ლაღუმებით; მაგრამ სადაც მოწამის კეშხა (ხმელი თავი) დებულა, ის ბუდე იქვე არის; გავზომე, სიგრძე შეიცავს ერთს მტკაველს და ხუთი თითის დადებასა სრულს, ხერხემლის სიგრძე მითხრეს ბერძნებმა სამ არშინზედ მეტი იყოვო და რა ეჭვია იმოდენ ვებერთელა თავს თავის დაგვარი სხეულიც ექნებოდა.

წინ დარჩენოდათ რამოდენიმე არშინი ქვაფენილი და იმასაც ამზადებდნენ ასაფეთქლად! . . .

მეტად ჯავრი მომივიდა ბერძნების ამ გვარ ბარბაროსულ უწყალოებაზედ და უფრო იმათ მოთავეებზედ, რომ ამისთანა ჩვენთვის ძვირფას სახსოვარს ძირიან სპობდნენ! მიკვირს, რატომ მთავრობას მეიჯარადრეებისთვის თავითგანვე გარიგებაში არ დაუსვია, რომ ამისთანა სიძველეების შეხვდენის დროს სიფრთხილით მოეპყრნენ და არა წაახდინონ-რა! პირველად წაახდინეს ივლიტის ხეველების ეკკლესიის ქვეშ კლდის თავზედ აკლდამა და მეორედ ესა. ზანა ოქრო-ვერცხლის საუნჯე რომ აღმოჩნდეს, ასე ცივად მოეპყრობიან? არ ეტყვიან, ფრთხილად მოეკიდეთ, არაფერი არ გააფუჭოთ, რომ სახელმწიფო არისო და რაოდნად ოქროს, საუნჯეზედ უფრო უმჯობესია ჩვენთვის ამისთანა აკლდამა? მაგრამ ვინ თანაუგრძნობს, ჩემისთანა უგუნურის მეტი. ან ვის რად უნდა?...

ურიგო არ იქნება, ვისიც რიგია, მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება ამისთანა საქმესა; დაინიშნოს კომისია გამოსაკვლევლად და ღირს პატივის მისაცემლად. ევროპიელები ამისთანა შესანიშნ საგნებზედ მილიონებს ხარჯვენ და იძენენ ამ გვარ დაუფასებელ საუნჯეთა, და ჩვენ, გულ-ხელ დაკრებილთ, ამა-იმის მზერაში გვილამდება და ჩვენ თვალთ წინ ყოფილთ სიმდიდრეთა არაფრად არა ვსთვლით და ვაზნევთ უგუნურის, უძლების შვილივითა!..

ვინმე მესხი

ქ. ახალციხე, 13 ივლისს.

წაართვან იმასო. ამას გარდა ინგლისის ოსმალეთს ელჩს ლეიარდს იმ თავითვე მიუცია პირობა, რომ შემდეგში ინგლისი ეცდებაო, რომ არც ერთი სამფლობელო მიწა არც რუსეთმა და არც რომელმამე სხვა სახელმწიფომ არ წაართვას ოსმალეთსაო.

—„ტაიმსის“ სტამბოლელი კორესპონდენტი იწერება, ოსმალეთის მმართებლობას განზრახვა აქვსო, რომ მოიწვიოს ევროპის გამოჩენილი ფინანსისტები, რომელთაც უნდა შეადგენინოს პროექტი—თუ როგორ და რა საშუალებით შეიძლება ოსმალეთის დაცემული ეკონომიური მდგომარეობის აღდგენა და გაუმჯობესობა.

## საფრანგეთი

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მარშალ მაკ-მაჰონმა მოაწერა ხელი ბერლინის კონგრესისაგან დადგენილს ტრაქტატს. ფრანცუზული გაზეთი „France“ ამბობს, რომ ყველა დანარჩენი სახელმწიფოებიც ამ მოკლე ხანში მოაწერენ და დაამტკიცებენ ბერლინის ტრაქტატსაო.

## ინგლისი

სამხედრო მინისტრის განკარგულებით ინგლისის მილიცია და რეზერვის ჯარი 27 ივლისს უნდა იქმნეს დათხოვილი.

— კიპრის კუნძულიდამ იწერებიან, რომ ინგლისის მთავრობას ამ ახლადშეძენილი კუნძულის დასაჭერად გაუგზავნია ღენერალი უელსლეი 1,700 კაცით ინდოეთის ჯარით. უელსლეი დანიშნულია კუნძულის დროებით მმართველად; მისვლისა-თანავე იმას გამოუცია პროკლამაცია, რომელშიაც აცხადებს, რომ ინგლისი შემოიღებს ამ კუნძულზე რეფორმებს დაეცდება ხალხის მეურნეობისა, ვაჭრობისა და საზოგადოთ კეთილდღეობის წარმატებისათვის.

## გერმანია

იმპერატორი ვილჰელმი, როგორც ბერლინის გაზეთები გვაცნობებენ, ამ ჟამად თითქმის სრულიად განთავისუფლებულა დაჭრილობისაგან და 10 ივლისს საზაფხულოდ წასულა ბერლინიდამ ქალაქს ბაბელსბერგში. მხოლოთ სუსტად არის ახლა თურმე ის კიდევ, თორემ სხვა არავითარი ტკივილები აღარ აწუხებსო.

## ამერიკის შეერთებული შტატები

ვაშინგტონიდამ მიღებული დეპეშა გვაცნობებს, რომ წელს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულს შტატებში ძალიან კარგ მოსავალს მოელიან პურისას და სიმინდისას. განსაკუთრებით საშუალ შტატებში უხვი მოსავალი არისო.

ეს ამბავი ჩვენთვის ყურადღების ღირსია, რადგან, როდესაც ამერიკაში კარგი მოსავალია პურისა და სიმინდისა, მაშინ რუსეთიდამ სამზღვარ გარეთ (განსაკუთრებით ინგლისში) უფრო ნაკლებად გააქვთ ხოლმე პური, და ჩვენგან სიმინდი.

# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში; ახალი წიგნი.

## ლექსთა კრება

თ. გრიგოლ ორბელიანისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ ფურცელაძესი, ივანე კერესელიძესი, იოსებ ბაქრაძესი და სხვებისა.

შეკრებილი და გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისა

ფასი ორი შაური.

გაიხსნა ტფილისში

## ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2.

გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

---

ქუთაისში

ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

1) დედა ენა, ი. გოგებაშვილისა, ფასი 45
2) ანუკა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა გრ. რჩეულოვისა ფასი 20კ.
3) ცოლი ვიტირო, თუ ფული? კომედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) ვეფხვის ტყაოსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
5) მეფე ლირი, დრამა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

---

ისყიდება თფილისში „ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში“ ქართული

## „სამზარეულო წიგნი“

შედგენილი კნა ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

ისყიდება თფილისში „ცენტრალური წიგნის მაღაზიაში“ ქართული სამზარეულო წიგნი“. შედგენილი კ-ნ ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

| რკ. გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| აბ.-სენაკი . | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 83 | | | | | | |
| აბ.-სენაკი. | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | [illegible] | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

## ტელეგრაფი

| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . | 3 | 75 |

## ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

## ბაზარდა

| თფილისი, 18 ივლისს. | მან | კაპ |
|---|---|---|
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ. | 1 | 50 |
| ფქვილი წითელი. . . | 1 | 30 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 15 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | — |
| —ამერიკისა, ფუთი . . | 8 | — |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 8 | — |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 6 | 50 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 9 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | 80 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 81 |
| —ცხვრისა, ლიტრა . | — | 81 |
| სპირტი, ვედრო . . | 5 | 20 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 80 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 6 | 40 |
| ყავა გრგვალი, გირვ. . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 13 | — |
| თამბაქო, საშუალო ფუთი | 8 | 50 |

## თფილისის სამკურნალო

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

**ორშაბათს:** მიუჩარიანც—ხირურგი, გარალევიჩი—შინაგ. ავათმყ.

**სამშაბათს:** ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და ბახუტოვი—ბებიობის თვალის.

**ოთხშაბათს:** ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფ. ბავრინსკი—თვალის და ობრეხტი—კბილის.

**პარასკევს:** ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და მიუჩარიანცი.

**შაბათს:** ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეიხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკიტი—გულის და ნერვების.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Іюля 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორის. მესხი.